თბილისის მწვანე სკოლის შინაგანაწესის დანართი #2

2019 წლის 18 დეკემბრის რიგგარეშე პედ-საბჭოს ოქმი #2 საფუძველზე შინაგანაწესში ცვლილება/დამატების შესახებ

შპს „თბილისის მწვანე სკოლა“-ს შინაგანაწესში შევიდეს ცვლილებები შემდეგი შინაარსით:

1. შინაგანაწესის მე-4 თავში შევიდეს ცვლილება და მე-5 მუხლს დაემატოს 4^1 პუნქტი, შემდეგი შინაარსით:

4^1 . განსაკუთრებულ შემთხვევებში სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით იქმნება კრიზისების მართვის დროებითი საბჭო. საბჭოს შემადგენლობა და პრინციპები განისაზღვრება კრიზისების მართვის დებულებით.

2. შინაგანაწესის მე-5 თავის, მე-7 მუხლის, 1-ლი პუნქტი გამოცხადდეს გაუქმებულად და ჩამოყალიბდეს ახალი რედაგციით:

1. სკოლაში მასწავლებლის მიღება მოხდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება N174/ნ ის, II თავში მოცემული მუხლების შესაბამისად და მათი სრული დაცვით.

წინამდებარე ცვლილება/დამატება ძალაში შედის 2019 წლის 18 დეკემბერს.